



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება N157

2013 წლის 20 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში „ნარჩენების მართვა ჯანსაღი მომავლისათვის“ მონაწილეობის მიზნით საჭიროა შეიქმნას დროებითი კომისია, რომელიც შეასრულებს ამ მიმართულებით ჩასატარებელ სამუშაოებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა. გელაშვილი ირინა - გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ. გურამ გელაშვილი - საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
- გ. ნუკრი ცხოვრებაძე - ააიპ „ხაშურისერვისის“ წარმომადგენელი;
- დ. ივანე პაპიაშვილი - ააიპ „ხაშურისერვისის“ წარმომადგენელი;
- ე. გიორგი პაპიაშვილი - გამგეობის მთავარი სპეციალისტი;
- ვ. ემზარ ბუაძე - ა(ა)იპ „სავანე“-ს წარმომადგენელი.

2. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 20 ნოემბრიდან 2014 წლის 20 იანვრამდე.

3. ეს განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე